



დედანი: ინგლისურ ენაზე

No.: ICC-02/05-01/09
თარიღი: 4 მარტი 2009

წინა საპროცესო განხილვის პალატა I

განიხილავს: მოსამართლე აკუა კუენიეჰია, კოლეგიის თავმჯდომარე
მოსამართლე ანიტა უსაკა
მოსამართლე სილვია სტაინერი

სუდანის დარფურში შექმნილი ვითარება

საბრალდებო საქმის სახელწოდება
პროკურორი ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის (“ომარ ალ ბაშირი”) წინააღმდეგ

საჯარო დოკუმენტი

ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის დაპატიმრების ორდერი

სასამართლო დადგენილების 31 რეგლამენტის მიხედვით დოკუმენტის შესახებ უნდა ეცნობოს შემდეგ პირებს:

პროკურატურას

პროკურორს, ბატონ ლუის მორენო
ოკამპოს
ბატონ ესა ფაალს, პროცესუალური
სასამართლოს უფროს ადვოკატს

მოპასუხის დამცველ ადვოკატს

**დაზარალებულთა იურიდიულ
წარმომადგენლებს**

**მოსარჩლეთა იურიდიულ
წარმომადგენლებს**

დაზარალებულ პირებს, რომლებიც არ
სარგებლობენ ადვოკატის
მომსახურებით

მოსარჩლე პირებს, რომლებიც არ
სარგებლობენ ადვოკატების
მომსახურებით
მონაწილეობის/რეპარაციისათვის

დაზარალებულთა საჯარო დაცვის
ადვოკატურას

მოპასუხეთა საჯარო დაცვის
ადვოკატურას

ქვეყნების წარმომადგენლებს

სასამართლო ექსპერტებს

რეესტრი

რეგისტრატორი
ქ-ნი სილვანა არბია

მოპასუხეთა დახმარების განყოფილება

დაზარალებულთა და მოწმეთა
ქვედანაყოფი

საკატიმრო განყოფილება

დაზარალებულთა მონაწილეობისა და
რეპარაციის განყოფილება

სხვა

საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს **წინა საპროცესო განხილვის პალატა I**
(შესაბამისად “პალატა” და “სასამართლო”);

გაეცნო “პროკურატურის განცხადებას 58-ე მუხლის თანახმად” (“პროკურატორის განცხადება”), რომელიც პროკურატურამ შეიტანა სასამართლოს ოქმში 2008 წლის 14 ივლისს სუდანის დარფურში შექმნილი ვითარების გამო (“დარფურში შექმნილი ვითარება”) და მოითხოვა ორდერის გაცემა ომარ ჰასან ალ ბაშირის (შემდგომში “ომარ ალ ბაშირად” წოდებული) დაპატიმრების შესახებ გენოციდის მოწყობის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და საომარი დანაშაულისათვის;¹

გაეცნო პროკურატურის მიერ მიწოდებულ დამამტკიცებელ მასალებს და სხვა ინფორმაციას;²

აცნობს “გადაწყვეტილებას პროკურატურის თხოვნაზე, რომ გაიცეს ორდერი ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის დაპატიმრების თაობაზე”³ რომელზეც პალატამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ მისი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისათვის, რომ ომარ ალ ბაშირი მიჩნეულ იქნეს სისხლის სამართლის დამნაშავედ კანონმდებლობის 25(3)(a) მუხლის თანახმად როგორც არაპირდაპირი დამნაშავე, ან როგორც არაპირაპირი თანამზრახველი დამნაშავე,⁴ საომარი დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო და როგორც ისახება, აუცილებელია მისი დაპატიმრება *რომის კანონმდებლობის 58(1)(b) მუხლის თანახმად* (“კანონმდებლობა”);

¹ ICC-02/05-151-US-Exp; ICC-02/05-151-US-Exp-Anxs1-89; Corrigendum ICC-02/05-151-US-Exp-Corr. And Corrigendum ICC-02/05-151-US-Exp-Corr-Anxs1 & 2; and Public redacted version ICC-02/05-157 and ICC-02/05-157-AnxA.

² ICC-02/05-161 and ICC-02/05-161-Conf-AnxsA-J; ICC-02/05-179 and ICC-02/05-179-Conf-Exp-Anxs1-5; ICC-02/05-183-US-Exp and ICC-02/05-183-Conf-Exp-AnxsA-E.

³ ICC-02/05-01/09-1.

⁴ *იხ.* მოსამართლე ანიტა უსაკას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი დოკუმენტზე “Decision on the Prosecution’s Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Ahmad Al Bashir”, ნაწილი IV.

აგნობს კანონმდებლობის მე-19 და 58-ე მუხლებს;

განიხილავს, რომ პროკურატორის განცხადებაზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დამამტკიცებელი მასალების თანახმად და უფლებებისა და პრივილეგიების დაცვის შემგომი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რომელიც შესაძლოა გაკეთდეს კანონმდებლობის მე-19 მუხლის თანახმად, ომარ ალ ბაშირის საბრალდებო საქმე ექვემდებარება ამ სასამართლოს იურისდიქციას;

განიხილავს, რომ პროკურატურის განცხადებაზე პროკურატორის მიერ წარმოდგენილი დამამტკიცებელი მასალების თანახმად არ არსებობს რაიმე ყალბი მიზეზი ან პალატაზე ზემოქმედების თვალსაჩინო ფაქტორი იმისათვის, რომ ამ ეტაპზე გამოყენებულ იქნეს მისი კომპეტენცია და განისაზღვროს ომარ ალ ბაშირის წინააღმდეგ საბრალდებო საქმის მიღების საკითხი კანონმდებლობის 19(1) მუხლის თანახმად;

განიხილავს, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ არასაერთაშორისო ხასიათის გაჭიანურებული შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობდა 2003 წლის მარტიდან 2008 წლის 14 ივლისამდე ექვემდებარება სუდანის მთავრობის კანონმდებლობის 8(2)(f) მუხლს და ძალაში იყო დარფურში სუდანის მთავრობასა (“სუდანის მთავრობა”) და რიგ ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, მათ შორის, სუდანის განთავისუფლების მოძრაობის/არმიასა (“სუდანის განთავისუფლების მოძრაობა/არმია”) და სამართლიანობისა და თანასწორობის მოძრაობას (“სამართლიანობისა და თანასწორობის მოძრაობა”) შორის;

განიხილავს, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ: (i) 2003 წლის აპრილში ელ ფაშერის აეროპორტზე განხორციელებული თავდასხმიდან სულ მცირე ხნის შემდეგ, სუდანის მთავრობამ გამოაცხადა ჯანჯავედის მილიციის საერთო მობილიზაცია სამართლიანობისა და თანასწორობის მოძრაობას, სუდანის განთავისუფლების მოძრაობა/არმიისა და დარფურის სხვა შეიარაღებული

ოპოზიციური ჯგუფების მოქმედებების საპასუხოდ და ამის შემდეგ ჩაატარა კონტრ-აჯანყების კამპანია სუდანის მთავრობის მეშვეობით მთელი დარფურის ტერიტორიაზე, რომელშიც შედიოდა სუდანის შეიარაღებული ძალები და მათი მეკავშირე, ჯანჯავედის მილიცია, სუდანის პოლიციის ძალები, ეროვნული სადაზვერვო და უშიშროების ძალები (“ეროვნული სადაზვერვო და უშიშროების ძალები”) და ჰუმანიტარული დახმარების კომისია (“ჰუნამიტარული დახმარების კომისია”), ამ ზემოხსენებული შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ, და (ii) კონტრ-აჯანყების კამპანია გრძელდებოდა 2008 წლის 14 ივლისამდე მანამ, სანამ სასამართლოში არ იქნა შეტანილი პროკურატურის განცხადება;

განიხილავს, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ: (i) სუდანის მთავრობის კონტრ-აჯანყების არსებითი კომპონენტი იყო არაკანონიერი თავდასხმა დარფურის სამოქალაქო მოსახლეობის იმ ფენაზე, რომელიც ძირითადად განეკუთვნოდა ფურის, მასალიტისა და ზაგავას ჯგუფებს⁵ – რომლებსაც სუდანის მთავრობა მიიჩნევდა სუდანის განთავისუფლების მოძრაობა/არმიის, სამართლიანობისა და თანასწორობის მოძრაობის და სხვა შეიარაღებული ჯგუფების ახლობლებლად, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ სუდანის მთავრობას დარფურში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში; და (ii) როგორც კონტ-აჯანყების კომპანიის არსებითი კომპონენტი, სუდანის მთავრობის ძალები აწარმოებდნენ ქლაქებისა და სოფლების სისტემატიურ რბევას თავდასხმებისა და მათი ხელში ჩაგდების შემდეგ;⁶

⁵ იხ. მოსამართლე ანიტა უსაკას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი დოკუმენტზე “Decision on the Prosecution’s Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Ahmad Al Bashir”, ნაწილი III. B.

⁶ რომელიც შეიცავს *სხვათა შორის* (i) პირველ თავდასხმას კუდუმზე დაახლოებით 2003 წლის 15 აგვისტოს; (ii) მეორე თავდასხმას კუდუმზე დაახლოებით 2003 წლის 31 აგვისტოს; (iii) თავდასხმას ბინდისზე დაახლოებით 2003 წლის 15 აგვისტოს; (iv) საჰაერო თავდასხმას მუკჯარზე 2003 წლის აგვისტო-სექტემბერში; (v) თავდასხმას არავალაზე დაახლოებით 2003 წლის 10 დეკემბერს; (vi) თავდასხმას ქლაქ შატაიაზე და მის შემოგარენ სოფლებზე (კაილეკის ჩათვლით) 2004 წლის თებერვალში; (vii) თავდასხმას მუჰაჯერიაზე დაახლოებით 2007 წლის 8 ოქტომბერს; (viii) თავდასხმებს სარაფ ჯიდადზე 2008 წლის 7, 12 და 24 იანვარს; (ix) თავდასხმას სილეაზე 2008 წლის 8 თებერვალს; (x) თავდასხმას სირბაზე 2008 წლის 8 თებერვალს; და (xi) თავდასხმას აბუ სურუჯზე

განიხილავს, აქედან გამომდინარე, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ 2003 წლის აპრილში ელ ფაშერის აეროპორტზე თავდასხმიდან სულ მცირე ხნის შემდეგ 2008 წლის 14 ივლისამდე ჩადენილ იქნა ომის დანაშაული ზემოხსენებული სუდანის მთავრობის კონტრ-აჯანყების კამპანიის სახით სუდანის მთავრობის ძალების მიერ კანონმდებლობის 8(2)(e)(i) და 8(2)(e)(v) მუხლების თანახმად, რომელიც განახორციელა სუდანის შეიარაღებულმა ძალებმა და მათმა მეკავშირე ჯანჯავედის მილიციამ, სუდანის პოლიციის ძალებმა, ეროვნული სადაზვერვო და უშიშროების ძალებმა და ჰუმანიტარული დახმარების ძალებმა.

განიხილავს, შემდგომში, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ მანამ, სანამ ეს წარმოადგენდა სუდანის მთავრობის კონტრ-აჯანყების არსებით კომპონენტს, სუდანის მთავრობის პოლიტიკური კურსი მდგომარეობდა იმაში, რომ არაკანონიერად დასხმოდნენ თავს დარფურის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც ძირითადად განეკუთვნებოდნენ ფურის, მასალიტისა და ზაგავას ჯგუფებს, რომლებსაც სუდანის მთავრობა მიიჩნევდა სუდანის განთავისუფლების მოძრაობა/არმიის, სამართლიანობისა და თანასწორობის მოძრაობის და სხვა შეიარაღებული ჯგუფების ახლობლებლად, და რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სუდანის მთავრობას დარფურში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში;

განიხილავს, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ დარფურის სამოქალაქო მოსახლეობის ზემოხსენებულ ნაწილზე განხორციელებული არაკანონიერი თავდასხმები იყო (i) ფარდოდ გავრცელებული, რადგან იგი შეეხო სულ მცირე ასი ათასობით ადამიანს და განხორციელდა დარფურის რეგიონის ტერიტორიაზე ფართო მასშტაბით; და (ii) ატარებდა სისტემატიურ ხასიათს, რისი მაჩვენებელიცაა მომდევნო ეტაპზე განხორციელებული ძალადობის ფაქტები, რაც საგრძნობლად დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და ხასიათდებოდა მსგავსი სტრუქტურით;

2008 წლის 8 თებერვალს; (xii) თავდასხმას ჯებელ მუნზე 2008 წლის 18 თებერვლიდან 22 თებერვლამდე.

განიხილავს, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ დარფურის სამოქალაქო მოსახლეობის ზემოხსენებულ ნაწილზე არაკანონიერი თავდასხმების შედეგად და ამგვარი თავდასხმების შეგნებულად მოწყობით, სუდანის მთავრობის ძალებმა დარფურის მთელ რეგიონში მოახდინეს ათასობით სამოქალაქო ადამიანის, ძირითადად ფურის, მასალიტისა და ზაგავას ჯგუფების ხოცვა-ჟლეტა და გენოციდი;⁷

განიხილავს, რომ აგრეთვე არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ დარფურის სამოქალაქო მოსახლეობის ზემოხსენებულ ნაწილზე არაკანონიერი და შეგნებული თავდასხმების შედეგად, სუდანის მთავრობის ძალებმა დარფურის მთელი ტერიტორიის მასშტაბით მოახდინეს, (i) ასი ათასობით სამოქალაქო ადამიანის, ძირითადად კი ფურის, მასალიტისა და ზაგავას დაჯგუფებების წევრების იძულებითი გადასახლება;⁸ (ii) ათასობით სამოქალაქო ქალების გაუპატიურება, რომლებიც ამ ჯგუფებში შედიოდნენ;⁹ და (iii) სამოქალაქო პირების წამება, რომლებიც ძირითადად ამ ჯგუფებს განეკუთვნოდნენ;¹⁰

⁷ რომელიც შეიცავს *სხვათა შორის* (i) ქალაქებს კუდუმს, ბინდისს, მუკჯარს და არავალას და მათ შემოგარენ სოფლებს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰში, მუკჯარში და გარსილა-დელეიგის მიდამოებში 2003 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე; (ii) სამხრეთ დარფურის ქალაქებს შატაიას და კაილეკს 2004 წლის თებერვალ-მარტში; (iii) 89-სა და 92-ს შორის ძირითადად ზაგავას, მასალიტისა და მისერია ჯებელის ქალაქებს სამხრეთ დარფურის ბურამის მიმდებარე სოფლებს 2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის სექტემბრამდე; (iv) სამხრეთ დარფურის იასინის რეგიონის ქალაქ მუჰაჯერას დაახლოებით 2007 წლის 8 ოქტომბერს; (v) ქალაქებს: სარაფ ჯიდადს, აბუ სურუჯს, სირბას, ჯებელ მუნს და სილეს დასავლეთ დარფურის კულბუსის რეგიონში 2008 წლის იანვრიდან თებერვლამდე; და (vi) შეგვ კაროს და ალ-აინის არე-მარეს 2008 წლის მაისში.

⁸ რომელიც შეიცავს, *სხვათა შორის* (i) ქალაქებს: კუდუმს, ბინდისს, მუკჯარს და არავალას და მათ შემოგარენ სოფლებს დასავლეთ დარფურის ვადი სალიჰში, მუკჯარში და გარსილა-დელეიგის მიდამოებში 2003 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე; (ii) სამხრეთ დარფურის ქალაქებს: შატაიას და კაილეკს 2004 წლის თებერვალსა და მარტში; (iii) 89-სა და 92-ს შორის ძირითადად ზაგავას, მასალიტისა და მისერია ჯებელის ქალაქებს და სამხრეთ დარფურის ბურამის რეგიონის სოფლებს 2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის სექტემბრამდე; (iv) სამხრეთ დარფურის იასინის რეგიონის ქალაქ მუჰაჯერას დაახლოებით 2007 წლის 8 ოქტომბერს; და (v) ქალაქებს: სარაფ ჯიდადს, აბუ სურუჯს, სირბას, ჯებელ მუნს და სილეს დასავლეთ დარფურის კულბუსის მიდამოებში 2008 წლის იანვრიდან თებერვლამდე.

⁹ რომელიც შეიცავს *სხვათა შორის* (i) დასავლეთ დარფურის ქალაქებს ბინდისს და არავალას 2003 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე; (ii) სამხრეთ დარფურის ქალაქ კაილეკს 2004 წლის თებერვალსა და მარტში; და (iii) დასავლეთ დარფურის კულბუსის მიდამოების ქალაქებს სირბასსა და სილესს 2008 წლის იანვრიდან თებერვლამდე.

¹⁰ რომელიც შეიცავს *სხვათა შორის*: (i) დასავლეთ დარფურის ქალაქ მუკჯარს 2003 წლის აგვისტოში; (ii) სამხრეთ დარფურის ქალაქ კაილეკს 2004 წლის მარტში; და (iii) დასავლეთ დარფურის ქალაქ ჯებელ მუნს კულბუსის მიდამოებში 2008 წლის თებერვალში.

განიხილავს, რომ ამრიგად არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ 2003 წლის აპრილში განხორციელებული ელ ფაშირის აეროპორტზე თავდასხმიდან სულ მცირე ხანში 2008 წლის 14 ივლისამდე სუდანის მთავრობის ძალებმა სუდანის შეიარაღებულ ძალებთან, მეკავშირე ჯანჯავედის მილიციასთან, სუდანის პოლიციის ძალებთან, ეროვნული სადაზვერვო და უშიშროების ძალებთან და ჰუმანიტარული დახმარების კომისიასთან ერთად ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, რომელშიც შედიოდა ხოცვა-ჟლეტა, იძულებითი გადასახლება, წამება და გაუპატიურება დარფურის მთელ ტერიტორიაზე კანონმდებლობის 7(1)(a), (b), (d), (f) and (g) მუხლების თანახმად;

განიხილავს, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ ომარ ალ ბაშირი იყო სუდანის კანონიერი და ფაქტიური პრეზიდენტი და სუდანის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი 2003 წლის მარტიდან 2008 წლის ივლისამდე და ამ თანამდებობაზე იგი ასრულებდა კოორდინატორის მთავარ როლს სუდანის სხვა მაღალი თანამდებობის პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებთან ერთად სუდანის მთავრობის ზემო აღნიშნული კონტრ-აჯანყების კამპანიის პროექტირებასა და განხორციელებაში;

განიხილავს, შემდგომში, რომ პალატა ალტერნატიულად ასკვნის, რომ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი: (i) რომ ომარ ალ ბაშირის როლი გასცდა ზოგადი გეგმის პროექტირებას და განხორციელებას; (ii) რომ იგი საერთო ჯამში აკონტროლებდა სუდანის “აპარატის” ყველა ფილიალს, სუდანის შეიარაღებული ძალების, მათი მომხრე ჯანჯავედის მილიციის, სუდანის პოლიციის ძალების, ეროვნული სადაზვერვო და უშიშროების ძალების და ჰუმანიტარული დახმარების კომისიის ჩათვლით; და (iii) რომ მან გამოიყენა საკუთარი თანამდებობრივი პოზიცია ზოგადი გეგმის განხორციელებისთვის;

განიხილავს, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისა, რომ ომარ ალ ბაშირს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, როგორც არაპირდაპირ დანაშაულს, ან როგორც არაპირდაპირ

თანამზრახველ დამნაშავეს,¹¹ კანონმდებლობის 25(3)(a) მუხლის თანახმად, შემდეგზე:

- i. საერთო ჯამში ყველა ან კერძო სამოქალაქო პირებზე განზრახ განხორციელებულ თავდასხმებზე, რომლებიც საომარ მოქმედებებში და საბრძოლო დანაშაულებში არ მონაწილეობდნენ, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობის 8(2)(e)(i) მუხლით;
- ii. საბრძოლო დანაშაულებრივ რბევაზე, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობის 8(2)(e)(v) მუხლით;
- iii. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ მკვლელობებზე, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობის 7(1)(a) მუხლით;
- iv. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ გენოციდზე, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობის 7(1)(b) მუხლით;
- v. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ იძულებით გადასახლებებზე, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობის 7(1)(d) მუხლით;
- vi. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ წამებებზე, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობის 7(1)(f) მუხლით; და
- vii. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ გაუპატიურებებზე რაც განსაზღვრულია კანონმდებლობის 7(1)(g) მუხლით;

განიხილავს, რომ კანონმდებლობის 58(1) მუხლის თანახმად ამ ეტაპზე ომარ ალ ბაშირის დაპატიმრება მიჩნეულია აუცილებლად იმისათვის, (i) რომ იგი გამოცხადდეს სასამართლოს წინაშე; (ii) რომ მან ხელი არ შეუშალოს და საფრთხე არ შეუქმნას მიმდინარე გამოძიების პროცესს იმ დანაშაულებისთვის რაშიც მას კანონმდებლობით ედება ბრალი; და (iii) რომ მან არ გააგრძელოს ზემო ხსენებული დანაშაულებები;

¹¹ იხ. მოსამართლე ანიტა უსაკას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი დოკუმენტზე “Decision on the Prosecution’s Application for a Warrant of Arrest against Omar Hassan Ahmad Al Bashir”, ნაწილი IV.

ამ მიზეზებით,

შემდგომში გამოსცემს:

ომარ ალ ბაშირის დაპატიმრების ორდერს, რომელიც არის მამაკაცი, ეროვნებით სუდანელი, დაბადებული 1944 წლის 1 იანვარს სუდანის ჰომე ბანაგაში, შენდის გუბერნიაში და რომელიც არის ჯაალის ტომის წევრი ჩრდილოეთ სუდანში, სუდანის რესპუბლიკის პრეზიდენტი მას შემდეგ, რაც იგი დაინიშნა ეროვნული გადარჩენის რევოლუციური მმართველობის საბჭოს მიერ 1993 წლის 16 ოქტომბერს და არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე 1996 წლის 1 აპრილიდან და რომელიც აგრეთვე ცნობილია შემდეგი სახელებით: ომარ ალ-ბაშირი, ომერ ჰასან აჰმედ ელ ბაშირი, ომარ ალ-ბაშირი, ომარ ალ-ბეშირი, ომარ ელ-ბეშირი, ომერ ალბაშეერი, ომარ ელბაშირი და ომარ ჰასან აჰმედ ელ-ბეშირი.

შედგენილია ინგლისურ, არაბულ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგანაც ინგლისური ასლი წარმოადგენს ოფიციალურ დედანს.

/ხელმოწერი/

მოსამართლე აკუა კუენიეჰია
კოლეგიის თავმჯდომარე

/ხელმოწერი/

მოსამართლე ანიტა უსაკა

/ხელმოწერი/

მოსამართლე სილვია სტაინერი

დათარიღებულია 2009 წლის 4 მარტით, ოთხშაბათი

ჰააგა, ნიდერლანდები